პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

14

სექტემბერი

ხუთშაბათი,

1961 წ.

№ 142 (1778)

გამოცემის მე-18 წელი,

ფასი 3 კაპ.



სურათზე: საბჭოთა მოცურავე ლ. ბარბიერი, რომელმაც 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში წელს მეოთხედ გააუმჯობესა საბჭოთა კავშირის რეკორდი.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად

ფრანგი კოლონიზატორების სისხლიანმა თარეშმა ბიზერტაში მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანების აღშფოთება გამოიწვია. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლების განკარგულებით დაბომბილ იქნა ბიზერტის მთელი კვარტალები და ქუჩები, აღვირახსნილი ფრანგი ჯარისკაცები ძარცვავდნენ მოსახლეობას, განგებ ანადგურებდნენ სასმელი წყლის აუზებს. ამ არათანაბარ ბრძოლაში დაიღუპა 300 უდანაშაულო ადამიანი, ხოლო 3.000 კაცი მძიმედ ან მსუბუქად დაჭრილი საავადმყოფოებშია მოთავსებული. დახოცილთა შორის არიან ტუნისელი სპორტსმენები.

ამას წინათ ტუნისის სპორტის უმაღლესმა კომიტეტმა განცხადება გაკეთა, რომელშიც იგი მოითხოვს, რომ შეწყდეს საფრანგეთის არმიის მიერ ბიზერტის ოკუპაცია და თხოვს მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობას მხარი დაუჭიროს მის განცხადებას.

ამ დღეებში სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მიმართვა გაუგზავნა ტუნისის სპორტის უმაღლეს კომიტეტს, სადაც იგი საბჭოთა სპორტსმენების სახელით ღრმა, ძმურ სოლიდარობას უცხადებს ამ ქვეყნის სპორტსმენებს აგრესორებთან წინააღმდეგ ბრძოლის, ტუნისის ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეში, თავის ხმას უერთებს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის აღშფოთებას და მძლავრ პროტესტს აცხადებს იმათ მიმართ, ვინც ანადგურებს ტუნისელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ცენტრალური საბჭო მიესალმება ტუნისის ახალგაზრდობასა და სპორტსმენებს, რომლებიც აღსდგნენ თავისი სამშობლოს პატიოსნების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯია

პრაღაში გრძელდება საიუბილეო ტურნირი ფრენბურთში, თავის ქვეჯგუფში უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა. ამჯერად საბჭოთა ფრენბურთელების მოწინააღმდეგეები იყვნენ უნგრელი ფრენბურთელები. პირველ პარტიაში საბჭოთა კავშირის გუნდმა სძლია უნგრელებს — 15:13. მეორე პარტია მწვავე ბრძოლის შემდეგ უნგრელებმა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 16:14. შემდეგი ორი პარტიის მოგებას საბჭოთა ფრენბურთელებმა ნახევარი საათი მოანდომეს — 15:6, 15:11 და მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1. ვაჟთა ფინალურ ჯგუფში გავიდნენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის I და უნგრეთის ნაკრები გუნდები.

ფინალში პირველი შეხვედრა საბჭოთა ფრენბურთელებს ჰქონდათ პოლონეთის ნაკრებთან. მატჩი სავსე იყო დრამატული მომენტებით, ამაზე ანგარიშიც მეტყველებს — 3:2 (15:10, 15:17, 15:12, 9:15, 15:3). თამაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ნაკრების სასარგებლოდ. საბჭოთა ფრენბურთელებს ერთი შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი (ჩეხოსლოვაკიის I გუნდთან) და გაირკვევა პირველი ადგილის მფლობელი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გასულ წელთან შედარებით შეცვლილი შემადგენლობით თამაშობს. მეშჩერსკი, ცირკოვი და კაჭარავა, რომლებიც ბრაზილიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში არ იღებდნენ მონაწილეობას, წელს უკვე მტკიცედ დამკვიდრდნენ ნაკრების შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები პრაღის ტურნირში არ მონაწილეობს. ქალთა ასპარეზობაში სატურნირო ცხრილს წაუგებლად ჩაუდგნენ სათავეში ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის ფრენბურთელები.

მ ო რ ი გ ტ უ რ შ ი

კიშინიოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში გათამაშების ლიდერმა რიგის ტრამვაიტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის „ტრუდი“ — 88:52, ლენინგრადის არმიელთა კოლექტივმა წაგო ტარტუს უსკასთან — 53:58.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს“, მატჩი აღინიშნა ქართველ სპორტსმენთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 60:54.

საერთაშორისო შეხვედრები

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ დაამთავრა თავისი ტურნე რუმინეთში. უკანასკნელ მატჩში მათ წინააღმდეგ თამაშობდნენ კლუჟის „შტინიცას“ ფეხბურთელები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. (ბურთები გაიტანეს ვოროშილოვმა და მატიანუმ).

მორიგი გამარჯვება მოიპოვა ბაქოს „ნეფტიანიკმა“ პოლონეთში, ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო ლოძის „ლკს“ ი. კუზნეცოვის მიერ გატანილ სამ ბურთს ორით უპასუხეს მასპინძლებმა და დამარცხდნენ 2:3.

ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა გუნდი „სლოვან ორბისი“ თბილისიდან გაემგზავრა ფოთში და იქ ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა.

პირველ დღეს ჩეხი კალათბურთელების წინააღმდეგ თამაშობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. შეხვედრა მოიგეს თბილისელმა სპორტსმენებმა — 57:50.

აღნიშნული კოლექტივების განმეორებით შეხვედრაში უპირატესობა ჩეხების მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს კიდეც მატჩი — 66:48.

სურათებზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და „სლოვან ორბისის“ კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

ჩოგბურთის კორტებზე

ხშირმა წვიმებმა საკმაო შესწორებები შეიტანეს კალინინგრადის კორტებზე გამართულ სსრ კავშირის პირადი პირველობის გათამაშებაში მონაწილე ჩოგბურთელთა შეხვედრების გრაფიკში. ამის მიუხედავად ბრძოლა კორტებზე კვლავ დაძაბულად მიმდინარეობდა და შეჯიბრებას მაყურებელი არ მოკლებია.

თბილისელმა ა. მეტრეველმა, რომელმაც შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ ვ. მოზერზე, შესაძლებლობებზე დაბლა ჩაატარა მორიგი შეხვედრა და დამარცხდა ლენინგრადელ ა. ნასედკინთან — 1:6, 5:7, 1:6.

ლენინგრადელი სპორტსმენი გამოცდილი ჩოგბურთელია, მაგრამ ამჯერად მას შემთხვევამაც შეუწყო ხელი: როგორც ჩოგბურთის ვეტერანმა და რადიოკომენტატორმა ნ. ოზეროვმა განაცხადა, მსაჯთა კოლეგიამ რატომღაც დილით დაუნიშნა თამაში ა. მეტრეველს, რომელმაც მხოლოდ წინა საღამოს მოიგო უაღრესად ძნელი შეხვედრა მ. მოზერთან.

საღამოს მატჩებში მირზას მიუყავდა ანგარიში ანდრეევთან, ჩერნოვს—ლიხაჩევთან. საქმეში კვლავ წვიმა ჩაერია და შეხვედრები გადიდო.

ევროპის ჩემპიონთა თასი ხელბურთში

ევროპის უძლიერეს ხელბურთელთა ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 20-მა ქვეყანამ. უკვე ჩატარდა კენჭისყრა, მერვედფინალში ერთმანეთს ხვდებიან: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბელგიის, საფრანგეთისა და ესპანეთ-მაროკოს მატჩში გამარჯვებული, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთ-უნგრეთის მატჩში გამარჯვებული, შვეიცარიისა და ჰოლანდია-ლუქსემბურგის მატჩში გამარჯვებული, იუგოსლავიისა და ავსტრიის, შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირ-ფინეთის მატჩში გამარჯვებული, ნორვეგიისა და დანიის ხელბურთელთა გუნდები.

ტურნირის როგორც წინასწარი თამაშები, ისე ფინალი ერთ წრედ ჩატარდება. მეთექვსმეტედ ფინალის თამაშები უნდა დამთავრდეს 15 ნოემბრამდე, მერვედფინალისა — 17 დეკემბრამდე, მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდება 21 იანვრამდე, ნახევარფინალები— 11 მარტამდე. ფინალი შედგება აპრილის დასაწყისში.

ჭიან-შანზე დაღუპული მთამსვლელების დამკრძალავი სახელმწიფო კომისიისაგან

ტიან-შანზე დაღუპული მთამსვლელების ჯ. მეძმარიაშვილისა და თ. კუხიანიძის პანაშვიდი შედგება 13-14 სექტემბერს განსვენებულთა ოჯახებში (ჯ. მეძმარიაშვილის — ტაშკენტის შეს. № 5, თ. კუხიანიძის — 25 თებერვლის ქ. № 13).

15 სექტემბერს ჯ. მეძმარიაშვილისა და თ. კუხიანიძის ნეშტები გადმოსვენებული იქნება ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის შენობაში. გამოთხოვება 15-16 სექტემბერს დღის 12 საათიდან. სამოქალაქო პანაშვიდი 15 სექტემბერს საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება დიღომის პანთეონში 16 სექტემბერს. სამოქალაქო პანაშვიდი 15 საათზე, გამოსვენება 16 საათზე.

წარმატებით შეესრულოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი ვალდებულებანი!

ხრულიად სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს ნახავთ საქართველოს დოსაფის კლუბში. თვითეული ირჩევს აქ სპორტის საყვარელ სახეობას — ავიომოდელიზმს, პლანერიზმს ან პარაშუტით ხტომას.

სწორედ პარაშუტით ხტომის საყვარულმა მოიყვანა აქ თბილისის მეოცე სკოლის მერვეკლასელი ნ. ვერმინიკოვა. სურათზე აღბეჭდილია იგი თვითმფრინავიდან პირველი გადმოხტომის წინ. მარჯვნივ ზის გამოცდილი ინსტრუქტორ-პარაშუტისტი გ. ჯილაური, რომელსაც უკვე 212 ხტომა აქვს შესრულებული.

ფოტო ხ. კრუჟკოვისა.

დრო იწურება

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურმა ზრუნვამ საბჭოთა ხალხის მატერიალურ კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე თავისი გამოხატულება ჰპოვა კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში, რომელიც მადლიერმა მშრომელმა ხალხმა გზის მაჩვენებელ შუქურად მიიღო.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს საქმით გამოეხმაურონ მშობლიური პარტიის ბრძნულ გადაწყვეტილებებს და გაზრდილი ვალდებულებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

საერთო საქმეში თავიანთი წვლილის შეტანა იკისრეს სამტრედიისა და თელავის რაიონების სპორტკავშირებმა, რომლებმაც ივალდებულეს ძველი სპორტული ბაზების კეთილმოწყობა, ახალი ბაზების აშენება და სპორტსმენ თანრიგოსანთა მნიშვნელოვანი რაოდენობით მომზადება ამ მნიშვნელოვანი თარიღისათვის.

აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ორივე რაიონის სპორტულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს რიგი სამუშაოები, მაგრამ ვალდებულებათა გასანაღდებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

სამტრედიის რაიონში 20 აგვისტოსათვის ჯერ კიდევ არ ჰყავდათ მომზადებული არცერთი პირველთანრიგოსანი, მოიკოჭლებს მეორე და მესამეთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაც. იგივე სურათი მეორდება თელავის რაიონშიც.

მიმდინარე წელს აღნიშნული რაიონების ნაკრებმა გუნდებმა საქართველოს პროფკავშირების საიუბილეო სპარტაკიადაზე ზონებში პირველი ადგილები დაიკავეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული მაჩვენებლები ცალკეულ სახეობებში ძალზე დაბალია. არადამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ ამ რაიონების წამყვან სპორტსმენებს მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ფრენბურთში, ძალოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში. რეკორდების ცხრილი ძირითადად არ აღემატება მესამე-მეორე თანრიგების ნორმატივებს. მძლეოსნობაში კი ზოგიერთი მაჩვენებლები მესამე თანრიგსაც არ სცილდება. აღნიშნული ნაკლოვანებები ძირითადად გამომდინარეობენ იქიდან, რომ თელავისა და სამტრედიის რაიონებში საკმარისი რაოდენობით არაა სპორტული ბაზები.

ამა რა მაღალი შედეგები უნდა ჰქონდეთ მძლეოსნებს, რომლებსაც საწვრთნო-სავარჯიშო მეცადინეობა უხდებათ თელავის სტადიონის სარბენ ბილიკებზე, რომლებიც უსწორმასწორო ქვებით მოკირწყლულ შარას უფრო წაგავს, ვიდრე სპორტულ სასპორტო ადგილს?

სასიხარულო ამბად მოგვეცა ის ფაქტი, რომ თელავსა და სამტრედიაში აშენდა საცურაო აუზები, მაგრამ აუზში თუ წყალს არ ჩავასხამთ (ჯერჯერობით კი იქ ასეა) მოცურავე სპორტსმენს რასაკვირველია, ვერ გავზრდით.

სამტრედიისა და თელავის წარმოება-დაწესებულებებში და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივები, ხოლო იქ, სადაც შექმნილია, დაბალ დონეზე ტარდება მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა.

ნ. სხირტლაძე

თეორიული ცოდნით აღვჭურვოთ მწვრთნელი

ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გაღვივდა სიყვარული ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. ხულ ახალი და ახალი მასები ემატება ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალრიცხოვან არმიას. დღეისათვის რესპუბლიკის საწარმოდაწესებულებებთან, სასწავლებლებსა და სოფლის ფიზკულტურის კოლექტივებთან არსებულ სპორტულ სექციებში მრავალი ათასი ქალიშვილი და ჭაბუკია გაერთიანებული. ისინი იწრთობიან და სპორტულ მწვერვალებს იპყრობენ ჩვენი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. ფიზკულტურისა და სპორტის ამ ენთუზიასტების ბეჯითი შრომის შედეგია ის დიდი წვლილი, რომელიც ჩვენ შეგვაქვს საბჭოთა სპორტის საგანძურში.

მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ჩვენი მიღწევები გაორკეცდებოდა რესპუბლიკას თითო-ოროლა კი არა, ასეულობით მაღალკვალიფიციური მწვრთნელი რომ ჰყავდეს, მწვრთნელები, რომლებიც აღზრდიან ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებს, პარტიისა და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს. ჩვენ გვყავს ასეთი მწვრთნელები. მათი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. ისინი ნამდვილი პედაგოგები არიან.

ამას წინათ გამართულ საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა იმაზე, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში თავი იჩინა არასწორმა პრაქტიკამ, ზოგიერთ ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ ის სპორტსმენი, რომელიც გუშინ წარმატებით გამოდიოდა შეჯიბრებებში და მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა, დღეს თავისუფლად შეძლებს ახალგაზრდობის აღზრდას თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით, მას სრული უფლება აქვს იმუშაოს მწვრთნელად და მისთვის არავითარი სპეციალური განათლება და თეორიული ცოდნა არ არის საჭირო.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ასეთი ნდობა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. კარგი სპორტსმენი კარგი მწვრთნელი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა, როცა თავის პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად სპორტის თეორიულ მხარესაც დაეუფლება, შეახამებს წარმატების ამ ორ აუცილებელ კომპონენტს და ამ გზით დაიწყებს ახალგაზრდების აღზრდას. იმისათვის რომ სხვა აღზარდოს, საჭიროა თვითონ იყოს სანიმუშო, ზრდილი, კულტურული, ჰქონდეს სპეციალური განათლება და პედაგოგიური ჩვევები.

წარსულში დიდი სპორტული მიღწევების მქონე სპორტსმენებს ჩვენ სათანადოდ ვაფასებთ. თუ მათ სურთ სპორტში დარჩენა — მწვრთნელად მუშაობა, მაშინ უნდა იბრძოლონ თეორიული დონის ამაღლებისათვის, რის საშუალებაც ჩვენ გვაქვს. რესპუბლიკაში დღეისათვის 1.400-მდე მწვრთნელი მუშაობს, აქედან 300-ზე მეტს არ გააჩნია სპეციალური უმაღლესი განათლება, ეს მეტად არასახარბიელო ციფრია და სწორედ ამიტომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა იკისრეს წინასაყრილობო ვალდებულებაში დაუსწრებელ და დასწრებულ სწავლებაში ჩაებან ის მწვრთნელები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო განათლება.

დასამალი არ არის, რომ მწვრთნელს, რომელსაც არ გააჩნია სათანადო განათლება, არა აქვს პედაგოგიური ჩვევები, ცალმხრივად ზრდის სპორტსმენებს. ასეთი ჯგუფის მწვრთნელებს აინტერესებთ, მხოლოდ სპორტსმენის ტექნიკური შედეგი, ახალგაზრდის მორალური სახე კი არა. ისინი გათქვეფილნი არიან თავის აღსაზრდელებში და ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობენ. სწორედ ასეთი მწვრთნელების მიერ აღზრდილი სპორტსმენები გამოირჩევიან უდისციპლინობით, უხეშობით, ყოყოჩობით, ქედმაღლობით. სწორედ ასეთი სპორტსმენები არიან ერთი საზოგადოებიდან მეორეში რომ გადადიან და აღმზრდელი კოლექტივის ინტერესებს ფეხით თელავენ.

საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პლენუმზე სპეციალურად იქნა მოსმენილი ეს საკითხი. სამართლიანად დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ მწვრთნელები, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციალური უმაღლესი განათლება, ახალი სასწავლო წლიდან ჩაებან დაუსწრებელ სწავლებაში, ან მწვრთნელთა სკოლაში. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მიმართებით დღეისათვის? თბილისის სპორტკავშირმა სპეციალური ბარათები დაუგზავნა მწვრთნელებს და მოუწოდა მათ, რომ ჩაბმულიყვნენ წარმოების მოუწყვეტლად მწვრთნელთა სკოლაში დაუსწრებელ სწავლებაში. მაგრამ ძალიან ცოტამ განაცხადა სურვილი სწავლისა. რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაეხმარონ მწვრთნელებს იმის გაგებაში, რომ ცოდნის შეძენა და გაღრმავება მათ გაუადვილებს შრომას და ნაყოფიც ხელშესახები იქნება. თუ ისინი დაეინებით არ მოისურვებენ ამას, მაშინ მეტი არაფერი დაგვრჩენია, უარი ვთქვათ მათზე.

შ. სუხიშვილი,

საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგე.



სსრკ შეიარაღებულ ძალთა XII სპარტაკიადაზე თავისუფალ მოჭიდავეთა შორის მაუურებელთა განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობდა თბილისელი სპორტის ოსტატი ჯ. ლორია, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

სურათზე: ჯ. ლორიამ ხალიჩას გააკრა გასული წლის პრიზიორი ნ. კარპიჩნიკოვი.

ფოტო უ. მოსესოვისა.

ლ ე ლ ო

ᲛᲔ-2 ᲒᲐᲖ. № 142 (1778)

პირველი ქვეჯგუფი

დიდი აღმავლობით ჩაატარეს თავიანთი მორიგი შეხვედრა ხობის „კოლხიდის“ ფეხბურთელებმა. მათ საკუთარ მოედანზე მიიღეს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ხობელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ხუთი ბურთი, ხოლო საკუთარში მიიღეს ორი და გაიმარჯვეს—5:2.

სოხუმში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშობდა ქობულეთის „კოლმეურნე“. მატჩი დაიწყო ორმხრივი იერიშებით. პირველი ნახევარი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 2:1. შესვენების შემდეგ ქობულელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და გამარჯვებულებმა (3:1) დატოვეს მოედანი.

თბილისში თამაშობდნენ არმიის სპორტული კლუბისა და გეგეჭკორის „სალხინოს“ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დაიწყო მასპინძელთა მწვავე იერიშებით და მათ მთელი ტაიმის განმავლობაში ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, მაგრამ ანგარიშის გახსნა კარგა ხანს ვერ შეძლეს. შესვენებამდე მათ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს გეგეჭკორელთა კარში. თამაშის განახლებისას არმიელებმა უფრო სრულყოფილი ვარიანტების გამოყენებით შეძლეს კიდევ სამი გოლის გატანა, რამაც მათ გამარჯვება მოუტანა — 4:0.

დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა მატჩი მახარაძეში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „სიხარული“ და ტყიბულის „მეშახტე“. შეხვედრა ჩატარდა საინტერესოდ. ორივე გუნდი თამაშობდა სწრაფ ტემპში. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა, მაგრამ შესვენებამდე მახარაძელებმა შეძლეს ჯერ ანგარიშის გათანაბრება, ხოლო შემდეგ მეორე ბურთის გატანა. მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეთა ცდას, მიეღწიათ რაიმე წარმატებისათვის, შედეგი არ მოჰყოლია. ამ გამარჯვებით შეჯიბრების ლიდერმა, მახარაძის „სიხარულმა“ კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა.

გათამაშების ცხრილში 2 ქულა ჩაიწერეს ბათუმის „განთიადის“ ფეხბურთელებმა, მათ თავიანთ მოედანზე მიიღეს ჭიათურის „მაღაროელი“, ჭიათურელებმა მასპინძლების მიერ გატანილ 2 გოლს მხოლოდ ერთით უპასუხეს. შეხვედრა მოიგო „განთიადმა“ — 2:1.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „იმერეთი“ და თელავის „კოლმეურნე“. მთელი მატჩი აღინიშნა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით. ისინი მოწინააღმდეგეს სჯობდნენ ყველა რგოლში და უკვე პირველ ტაიმში შეძლეს 2 ბურთის გატანა. შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა კიდევ 4-ჯერ აიძულეს თელაველი ფეხბურთელები თამაში დაეწყოთ ცენტრიდან. „კოლმეურნის“ ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს და დამარცხდნენ დიდი ანგარიშით — 1:6.

მეორე ქვეჯგუფი

მეორე ქვეჯგუფში გაიმართა 6 მატჩი. თბილისში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო ცხაკაიას „განთიადი“. თუ მატჩის დასაწყისში უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს და ორი ბურთი გაიტანეს, რასაც შესვენებამდე ერთი ბურთით (11-მეტრიანი საჯარიმოდან) უპასუხეს მასპინძლებმა, მეორე ნახევარში ცხაკაიელ მცველთა შეცდომით სპარტაკელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო მატჩის დასასრულს გაიტანეს მესამე გოლი და გაიმარჯვეს — 3:2.

თითქმის ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი ახალციხეში ადგილობრივი „მესხეთისა“ და გორის „დილას“ მატჩში. ახალციხელთა ერთერთი შეტევისას სტუმრები პენალტით დაჯარიმდნენ, რაც კარგად გამოიყენეს მასპინძლებმა და გახსნეს ანგარიში. შესვენებამდე გორელებმა ანგარიში გაათანაბრეს, მატჩის განახლებისთანავე კი მეორე ბურთიც გაიტანეს. თუმცა გორელთა წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. თითქმის იმავე წუთში „დილას“ მცველებმა საკუთარ კარში გაიტანეს ბურთი, რასაც კიდევ ერთი გოლი დაუმატეს ახალციხის ფეხბურთელებმა და გაიმარჯვეს — 3:2.

პრინციპული ხასიათი ჰქონდა მატჩს ზუგდიდში „ოდიშისა“ და სამტრედიის რკინიგზელ ფეხბურთელთა შორის. პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ. შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა ზედიზედ გაიტანეს ორი გოლი. მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ ზუგდიდელები. მაგრამ ამაოდ, მათ მხოლოდ 11-მეტრიანი საჯარიმოთი შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 2:1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

თბილისში „ისანმა“ მიიღო „მეზღვაური“ (ფოთი). მოწინააღმდეგენი ხშირად უშვებდნენ ტექნიკური ხასიათის შეცდომებს. მე-14 წუთზე ანგარიში გახსნეს თბილელებმა, რის საპასუხოდ ფოთელები ერთი გოლის გატანით (კუპრავა) დაკმაყოფილდნენ. შესვენების შემდეგ ანგარიშს არ შეცვლილა — 1:1.

ბურჯომში „ლოკომოტივი“ დახვდა წულუკიძის „ფეიქარი“ — 2:0. ქუთაისის „მშენებელმა“ — სტალინირის „სპარტაკი“ — 1:0.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 13 სექტემბრისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სიხარული“ მახარაძე	22	16	4	2	55:24	36
„მეშახტე“ ტყიბული	21	13	5	3	48:18	31
„იმერეთი“ ქუთაისი	21	11	8	2	46.26	30
სკა თბილისი	22	12	5	5	44:19	29
ფიზკ. ინსტ. თბილისი	21	11	5	5	42:27	27
„განთიადი“ ბათუმი	21	10	5	6	36:35	25
„შუქურა“ ქობულეთი	23	8	7	8	42:37	23
„კოლხიდა“ ხობი	23	7	8	8	40:32	22
„მაღაროელი“ ჭიათურა	22	8	6	8	39 36	22
„ბახმარო“ ჩოხატაური	21	8	3	10	27:49	19
„კოლმეურნე“ თელავი	24	5	7	12	40:70	17
„მექანიზატორი“ ადიგენი	26	4	4	18	30:41	12
„სალხინო“ გეგეჭკორი	23	4	4	15	28:68	12
„დინამო“ სოხუმი	20	1	4	15	20:55	6

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხუთი	21	17	1	3	60:27	35
„ლოკომოტივი“ სამტრედია	24	13	6	5	42:28	32
„სპარტაკი“ სტალინირი	24	14	3	7	47:31	31
„მესხეთი“ ახალციხე	22	13	4	5	48.23	30
„ოდიში“ ზუგდიდი	23	12	4	7	40:28	28
„განთიადი“ ცხაკაია	25	12	3	10	41:47	27
„მეზღვაური“ ფოთი	23	10	6	7	31:23	26
„მშენებელი“ ქუთაისი	23	7	7	9	32:34	21
„ფეიქარი“ წულუკიძე	22	9	4	9	41:45	22
„სპარტაკი“ თბილისი	22	8	5	9	25:33	21
„დურუჯი“ ყვარელი	25	6	5	14	25:56	17
„ისანი“ თბილისი	22	5	4	13	26:40	14
„დილა“ გორი	21	5	3	13	30:37	13
„სპარტაკი“ რუსთავი	26	1	5	20	22:54	7

საქართველოს პირველობა ფეხბურთში. ბათუმის „განთიადისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ შეხვედრა. ბათუმელთა მეკარე ვ. ჩიბურდანიძე იღებს ძნელ ბურთს. ფოტო ე. ჭანტურიასი.

შეჯიბრებამ იმედები არ გაამართლა

ექვსი ფინალური გაცურვა 30 სპორტსმენის მონაწილეობით და მხოლოდ ხუთი პირველი თანრიგის შედეგი, ასეთია საქართველოს სპორტკავშირის პრიზზე რესპუბლიკის მოცურაველთა შეჯიბრების მესამე დღის შედეგები.

როცა ამ შეჯიბრების ჩატარება ამ პერიოდისათვის გადაწყდა, ვარაუდობდნენ, რომ სპორტსმენები სწორედ ამ დროისათვის იქნებოდნენ საუკეთესო ფორმაში და მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ, შეავსებდნენ მაღალთანრიგოსანთა რიგებს, გადაახალისებდნენ რესპუბლიკურ რეკორდებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, შეჯიბრებამ იმედი არ გაამართლა.

ამ დღეს შეჯიბრების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მოსულმა ძლიერმა წვიმამ ერთგვარად დასცა ჰაერის ტემპერატურა, სამაგიეროდ უცვლელი დარჩა წყლის ტემპერატურა—23 გრადუსი, პირიქით წყლისა და ჰაერის ტემპერატურის დაახლოვებას დადებითად უნდა ემოქმედნა, მაგრამ შედეგები კვლავ „ძველი დარჩა“. 200 მ ბრასით ქალთა ფინალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა დინამოელმა ბ. კულჩიცკაიამ მეორე თანრიგის შედეგით (!).

მაყურებლისათვის ერთგვარად საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა ვაჟთა ფინალური შეჯიბრება 200 მეტრზე ბრასით, სადაც ბრძოლის ტონის მიმცემნი იყვნენ სპარტაკელი ოსტატები ა. ტატუკაევი და ი. ფუნიკოვი. წინა დღეს ისინი სხვადასხვა გაცურვაში მოხვდნენ და მხოლოდ ფინალმა შეჰყარა პირისპირ. 100 მეტრზე — დისტანციის ნახევარზე მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ისინი ერთმანეთს, მერე მცირე უპირატესობა მოიპოვა ფუნიკოვმა და უკანასკნელ 50 მეტრზე სხვაობა სამ მეტრამდე გაზარდა. ფუნიკოვმა აჩვენა 2.45,0. თანაგუნდელი ჩამორჩა 2,4 წამით.

ვაჟთა ფინალში 400 მ თავისუფალი სტილით, ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ძლიერი კონკურენტი — არმიელი გ. კორბუკოვი და დინამოელი ვ. ზლობინი. ძლიერ კონკურენტთან ბრძოლაში ვ. ზლობინმა ამ დღეს პირველად შეძლო გამოსულიყო 5-წუთიანი ზღვარიდან. მართალია კორბუკოვთან წააგო 1,9 წამი, მაგრამ 4.57,3 მისი პირადი რეკორდია.

მონაწილეთა სიმცირის გამო 3-3 სპორტსმენი ქალი გამოვიდა 400 მ თავისუფალი სტილითა და 100 მ ბატერფლაით ცურვაში. პირველ შემთხვევაში გამარჯვებული ი. ამნიაშვილის („დინამო“) შედეგი — 5.58,0 არ სცილდება მეორე თანრიგს, ხოლო ბატერფლაით ცურვაში პირველ ადგილზე მყოფმა მისმა თანაგუნდელმა ნ. ქიგალაოვამ მესამე თანრიგის შედეგით — 1.35,6 გაიმარჯვა.

ვაჟთა შორის 200 მ ბატერფლაის სტილით ცურვაში აშკარა იყო თბილისელი ს. ჟუკოვის უპირატესობა — 2.45,0.

ფრე ბათუმში

ფეხბურთის ბათუმელი გულშემატკივრები დიდი ინტერესით მოელოდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ამ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის — ლენინაკანის „შირაქის“ ფეხბურთელთა გუნდების კალენდარულ მატჩს.

მაყურებელთა მოლოდინი, ენახათ მწვავე, კომბინაციური თამაში, არ გამართლდა. მთელი თამაშის განმავლობაში წვიმდა და ორივე კოლექტივი მეტად შეზღუდულად მოქმედებდა. ბურთი არ ემორჩილებოდა ფეხბურთელთა ნებას და თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა.

დინამოელ თავდამსხმელთა ცდები — შორი მანძილიდან „დაკბომბათ“ მეტოქის კარი, უშედეგოდ მთავრდებოდა და რეალური საშიშროება არც ერთ კართან არ შექმნილა.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

საბჭოთა კავშირის თასზე

მოსკოვში ადგილობრივმა „ტორპედომ“ საბჭოთა კავშირის თასის მერვედფინალურ მატჩში მიიღო ლენინგრადის „სპარტაკი“. შეხვედრა მიმდინარეობდა გასული წლის თასის მფლობელის უპირატესობით და დამთავრდა მისი გამარჯვებით — 3:0. ბურთები გაიტანეს მეტრეველმა და ივანოვმა (ორი). მეოთხედფინალში „ტორპედო“ შეხვდება როსტოვის არმიელთა და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის გამარჯვებულს.

ვორონეჟში, ვილნიუსსა და სტალინოში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე XI-XXII ადგილებისათვის მებრძოლ გუნდებს შორის.

ვორონეჟში თამაშობდნენ ადგილობრივი „ტრუდი“ და ტალინის „კალევი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ვილნიუსის „სპარტაკმა“ საკუთარ მოედანზე მიიღო მინსკის „ბელარუსი“. შეხვედრა მოიგეს ბელორუსელმა ფეხბურთელებმა— 1:0.

სტალინოს „შახტიორისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ შეხვედრაში აშკარა იყო მასპინძლების უპირატესობა. მათ ექვსი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, თავიანში კი არცერთი მიუღიათ.

ლ ე ლ ო
მე-3 ბ3. № 142 (1778)

დიდი დანაკლისი

ეემაძრწუნებელი ცნობა მოვიდა ტიან-შანიდან: მას შემდეგ, რაც ქართველ ალპინისტთა მოიერიშე ჯგუფმა „პობედას“ მწვერვალს მიაღწია და უკან დაბრუნდა, მოულოდნელი ავადმყოფობით გარდაიცვალა ილია გაბლიანი, ხოლო შემდეგ, ციცაბო ფერდობს მოსწყდნენ და გადაჩეხნენ მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე.

დაიღუპა ქართული ალპინიზმის სამი შევარდენი, სამი უძლიერესი, საუკეთესო წარმომადგენელი. ილია გაბლიანის ცხედარი გარდაუვალი აუცილებლობით დროებით დაკრძალულია „პობედას“ ფერდობზე 6.900 მეტრ სიმაღლეზე.

მძიმეზე მძიმეა საბჭოთა ალპინიზმის, მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის და კერძოდ, ქართველი მთამსვლელების დანაკლისი, რომლის მსგავსიც მათ არა ჰქონიათ 1946 წლიდან.

ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ქართველი და საბჭოთა ალპინისტური სკოლის უძლიერესი წარმომადგენლები, საერთაშორისო კლასის სპორტსმენები, არამედ ამასთან ერთად, შესანიშნავი მოქალაქეები, შესანიშნავი და გულთბილი მეგობრები, საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკები — მთამსვლელობის ენთუზიასტები, მაღალი კულტურის მქონე და თავიანთ პროფესიათა ერთგული, მოყვარული ადამიანები...

ჯ უ მ ბ ე რ მ ე ძ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი

დაიბადა 1929 წელს, გორში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ჟურნალისტი, უკანასკნელ დროს მუშაობდა საქართველოს ალპური კლუბის სასწავლო ნაწილის გამგედ. იყო პირველთანრიგოსანი მოკრივე, ამიერკავკასიისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ალპინიზმს მისდევდა 1950 წლიდან და ამ ხნის მანძილზე მოპოვებულ მრავალ გამარჯვებათა შორის სამჯერ დაიმსახურა ოქროს მედალი (1955 წელს — სტალინის პიკის დაპყრობისათვის, 1957 წელს — დარვაზის ქედის ტრავერსისათვის, 1960 წელს — პამირის, ზულუმარტისა და იმიერალაის ქედების ტრავერსისათვის) და ორჯერ — ვერცხლის მედალი (1955 წელს — პამირზე 6.856-მეტრიანი მწვერვალის დაპყრობისათვის, 1956 წელს — მოსკოვის პიკის დაპყრობისათვის), ამ ბრწყინვალე გამარჯვებათა მოპოვებისათვის 1956 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ჯ. მეძმარიაშვილი დიდი ალპინისტური გამარჯვებისათვის დაჯილდოვებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ი ლ ი ა გ ა ბ ლ ი ა ნ ი

ქართული ალპინიზმის ვეტერანი, დაიბადა 1917 წელს, მესტიაში, მუშაობდა მესტიის რაიონული საფინანსო განყოფილების მთავარ ბუხჰალტრად, იყო მოთხილამურე და სპორტის ოსტატი ალპინიზმში, რომელსაც მისდევდა 1937 წლიდან. ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო უამრავ ალპინისტურ ექსპედიციაში და მოიპოვა არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება, რომელთაგან ორში მიიღო ოქროს მედალი (1957 წელს — დარვაზის ქედის ტრავერსისათვის, 1960 წელს — პამირის, ზულუმარტისა და იმიერალაის ქედების ტრავერსისათვის), ხოლო ერთში — ბრინჯაოს მედალი (1955 წელს უშბის კედლით ასვლისათვის). იყო მესტიის რაიონში — ქართული ალპინიზმის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერაში — მთამსვლელობის წამყვანი ორგანიზატორი, ენთუზიასტი, სპორტის საზოგადო მოღვაწე.

ი. გაბლიანი დიდი ალპინისტური გამარჯვებისათვის დაჯილდოვებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.



თ ე ი მ ურ ა ზ კ უ ხ ი ა ნ ი ძ ე

დაიბადა 1934 წელს, თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობდა უნივერსიტეტშივე მეცნიერ-მუშაკად. იყო მრავალმხრივი სპორტსმენი, ეუფლებოდა მძლეოსნობას, თხილამურებს, ცურვაში იყო საქართველოს ჩემპიონი.

თ. კუხიანიძე ალპინიზმს მისდევდა 1952 წლიდან, იყო სპორტის ოსტატი. ნიჭიერმა ახალგაზრდა მთამსვლელმა უშუალო მონაწილეობა მიიღო უკანასკნელი წლების თითქმის ყველა მნიშვნელოვან, სარეკორდო ლაშქრობებში და ორჯერ მოიპოვა ოქროს მედალი (1957 წელს — დარვაზის ქედის ტრავერსისათვის, 1960 წელს — პამირის ზულუმარტისა და იმიერალაის ტრავერსისათვის), ხოლო ერთხელ ვერცხლის მედალი (1956 წელს — მოსკოვის პიკის დაპყრობისათვის).

თ. კუხიანიძე დიდი ალპინისტური გამარჯვებისათვის დაჯილდოვებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

⊙ ⊙ ⊙

მეტად მძიმეა ჩვენი მთამსვლელობის დანაკლისი, დიდი და მწვავეა ჩვენი მწუხარება!...

მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს ქედის მოხრას მთათა სტიქიონის, ქედებისა და მწვერვალების წინაშე?! ნიშნავს თუ არა ეს შემთხვევითი და ტრაგიკული მოულოდნელობა უკანდახევას მამაცთა სპორტში, მოწინავე პოზიციების დათმობას?!

ყველაზე მკაფიოდ ამაზე პასუხს ქართული ალპინიზმის ისტორიის საუკეთესო სტრიქონები იძლევიან...

არა, ქედს არ მოიხრის ვაჟკაცური სული მთების წინაშე! არა, არ დაითმობა ქართული ალპინიზმის სასიქადულო ტრადიციები! არა, შურისძიების გარეშე არ დასტოვებენ მამაცი ქართველი მთამსვლელები ძმათა საფლავებს!

რეკორდი არ დამტკიცდება

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მატჩის დღეებში ამერიკელ ბადროს ტყორცნელს ჯ. სილვესტრს მიუღია სიტყვიერად გადასცეს საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამზადებული ბადრო. ეს შემდეგ სპორტსმენმა ამ თვალსაზრისით გამოდიოდა ყველა შეჯიბრებაზე, სადაც სათანადო წარმატებებსაც აღწევდა.

ეს ბადრო ტყორცნა სილვესტრიმ გასულ შაბათს ლოს-ანეელოსში გამართულ შეჯიბრებაზეც და შესანიშნავი შედეგიც აჩვენა. მის მიერ ნატყორცნი ბადრო დაეცა 64 მეტრსა და 07 სანტიმეტრზე, რაც 3 მ 35 სმ-ით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს. მაგრამ, როგორც ამ შეჯიბრებაზე დამსწრე ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, ეს შედეგი არ შეიძლება დამტკიცდეს მსოფლიო რეკორდად, რადგან ბადროს ტყორცნის სექტორის დახრილობა საგრძნობლად აღემატება ნორმალურს. წესით სექტორის დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 6 სანტიმეტრს, აქ კი ამ ციფრმა 80 სანტიმეტრამდე მიაღწია.

ექვსი ტურის შემდეგ

ბლედის საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი იუგოსლაველ გროსმაისტერ მატანოვიჩს პახმანთან (ჩეხოსლოვაკია), ნაიდორფთან (არგენტინა) და ტალთან და სამივეში დამარცხება განიცადა. ამერიკელმა ბისჰაიერმა წაგო დონერთან (ჰოლანდია), პორტიშ (უნგრეთი)-ტრიფუნოვიჩის (იუგოსლავია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერობენ: პეტროსიანი, ტალი, ფიშერი და ნაიდორფი, რომლებსაც 4,5 ქულა აქვს თვითეულს. 4-4 ქულა აქვთ კერესს, გლიგორიჩსა და ტრიფუნოვიჩს.

ფეხბურთის 50 წლისთავი სურამში

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლება იყო სურამის კულტსახლში. აქ აღინიშნა სურამში ფეხბურთის დამკვიდრების 50 წლისთავის იუბილე.

დარბაზში გამოფენილი ფოტოსტენდი, ტრანსპარანტები და ლოზუნგები მნახველებს მოუთხრობენ ფეხბურთის განვითარებაზე სურამში. საიუბილეო საღამო გახსნა და ვეტერან და ახალგაზრდა ფეხბურთელებს მიესალმა სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ჩიქოვანი, სურამში ფეხბურთის ჩასახვისა და მისი განვითარების შესახებ ილაპარაკა იურისტმა ა. კევლიშვილმა. ვეტერანმა ფეხბურთელმა ვ. კიკნაძემ დამსწრეთ მოუთხრო სურამელ ფეხბურთელთა რამდენიმე მატჩის შესახებ.

სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ა. ხვედელიანმა და „განთიადის“ სარაიონო საბჭოს თავმჯდომარემ ზ. მოსესოვმა სიგელები გადასცეს ვეტერან ფეხბურთელებს, ხოლო სურამის ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც პირველ ადგილზე გამოვიდა „განთიადის“ სარაიონთაშორისო თასის გათამაშებაში, გადაეცა გარდამავალი თასი.

რ. ცერცვაძე

გ ა ტ ე ხ ი ლ ი ᲞᲐᲛᲘᲠᲘ

— ხედავ თუ არა საქართველოს?!
— შეხედე ერთი!
ლაპარაკობენ ქვეყნები უცხო,
და პამირისკენ ახედეგენ ერთმანეთს ელდით.
— ამ ცეროდენა ქვეყანამ ნეტა,
რამდენჯერ უნდა გააოცოს მთელი პლანეტა?! —
ამბობენ ერთხმად,
ამერიკა და ბრიტანეთი...
თურქეთი ამბობს:
ალაჰმა უწყის!..
კისერს იგრძელებს დედამიწა, ვითარცა წერო...
ქვეყანა ხედავს:
პამირის თავზე,
ვით ბადრი მთვარე კრიალა ცაზე,
ისე მკაფიოდ ჩანს საქართველო!
ჩვენი ლამაზი საქართველო, — უკვდავი სიტყვა,
თავისი მწვანე ბალახით და წითელი მზითა.

— როგორ შეიძლო საქართველომ ასვლა პამირზე?!
— როგორ თუ როგორ!!!
ერთი შეხედეთ ამ ლომივით ქართველ ვაჟკაცებს!...
— არა!
— შეხედეთ!
— შეხედეთ ერთი!
— რას არ შეიძლებს მათი მკლავი — მკვრივი, ვით კაჟი!
— რას არ შეანგრევს მათი ფართო, მაგარი მკერდი!
და...
მეც სხვა რაღა დამრჩენია დღეს ამის მეტი; —
მივდივარ მათთან
და
ვართმევ ხელს მათ ორთავ ხელით,
ვინც საქართველო აიტანა პამირზე გუშინ,
ამიერიდან სიმამაცის ვინც იქცა სარკედ,
ვისაც ურარტუს მზე უნთია მგზნებარე გულში...

1957 წ.

მუხრან მაჭავარიანი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02669